ინფორმაცია

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მოხსენებასა და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის“ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	
1	კომიტეტი დადებითად აფასებს მომავალი წლის მაკროეკონომიკური პარამეტრების მიმდინარე წელთან შედარებით გაუმჯობესებასა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს ქვემოთ ჩამოსვლას. ამასთან, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე თანდართული დოკუმენტით მიმდინარე წელს დეფლატორი მოსალოდნელია 10.5%-ის, ხოლო რეალური მშპ-ს ზრდა 8.5%-ის დონეზე. რეალურად, მიმდინარე წლის 8 თვის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 10.3%-ია. აგვისტო-სექტემბრის თვეებში წინა თვეებთან შედარებით შეინიშნება უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა. **თუ ეკონომიკური ზრდის ასეთი ტენდენცია გაგრძელდა წლის ბოლომდე, ნომინალური მშპ-ს ზრდა მიაღწევს 21%-ს, ნაცვლად დოკუმენტით წარმოდგენილი 19%-სა. შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ 2023 წლის მოსალოდნელი ნომინალური მშპ-ს ოდენობა პროექტით წარმოდგენილთან შედარებით სავარაუდოდ მეტი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტში შემოსავლების, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სახით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებთან შედარებით შესაძლებელია მოხდეს დამატებითი ფულადი სახსრების აკუმულირება.** ასევე, გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2023 წლისთვის ძირითადი	მიმდინარე და მომდევნო წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში წარმოდგენილი იქნება გადამუშავებული პროგნოზები.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	მაკროეკონომიკური მაჩვენებლები შედარებით კონსერვატიულად არის დაგეგმილი;	
2	მიუხედავად იმისა, რომ **ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის მშპ-ს მიმართ პროცენტული თანაფარდობის მაჩვენებლები პრაქტიკულად დაბრუნებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში, მიზანშეწონილია, არ მოხდეს ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი აღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების რაიმე მიზეზით გაზრდა. პირიქით, მნიშვნელოვანია, როგორც დეფიციტის, ისე ვალის დაგეგმილი დონეების შემცირება, რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს ინფლაციაზე;**	ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის არსებული მოცულობით შენარჩუნება არ იძლევა დეფიციტის დამატებით შემცირების საშუალებას, თუმცა 2023 წლის განმავლობაში მაღალი ეკონომიკური პარამეტრების არსებობის შემთხვევაში, 2021-2022 წლების მსგავსად შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის დეფიციტის და შესაბამისად ვალის მაჩვენებლის შემცირება.
3	საქართველოს მთავრობის მიერ გაჟღერებულ იქნა **საჯარო სამსახურებში ხელფასის 10%-იანი მატება. წარმოდგენილი პროექტით 10%-ით გაზრდილია შრომის ანაზღაურება, თუმცა საბაზო თანამდებობრივი სარგოს მატება გათვალისწინებულია 7.1%-ით, რაც არ იძლევა საშუალებას იმ სპეციალისტებს, რომელთა ხელფასის განსაზღვრისას უკვე გამოყენებულია მაღალი კოეფიციენტები, ხელფასი გაეზარდოთ 10%-ით. მიზანშეწონილია, საბაზო თანამდებობრივი სარგოს 10%-ით გაზრდა;**	გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.
4	ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს თან ახლავს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების ინდექსაციის წესს 2023-2025 წლებისთვის, ხოლო 2026 წლიდან ამოქმედდება შრომის ანაზღაურების განსაზღვრის სხვა პრინციპი. **2023-2025 წლებისათვის საბაზო თანამდებობრივი სარგოს ზრდა შემოთავაზებული წესით მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ საბაზო თანამდებობრივი სარგოს მატების ოდენობა იქნება არანაკლებ 10%-ისა, როგორც ეს დააანონსა საქართველოს მთავრობამ;**	გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
5	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **საქართველოს პარლამენტის და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცსკო-ს) ბიუჯეტის პროექტები საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული იქნა ადრე, ვიდრე მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში ხელფასის 10%-ით ზრდის თაობაზე. ხელფასის 10%-იანი მატება უნდა განხორციელდეს ამ უწყებებშიც. შესაბამისად, მოხდეს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ დამატებით წარმოდგენილი განაცხადების განხილვა და ასახვა ბიუჯეტში;**	გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.
6	კომიტეტში წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოდან შემოსული წერილით მოთხოვნილია **2023 წლიდან საქართველოს პარლამენტის პროგრამის ფარგლებში გამოიყოს გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი საქმიანობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა კოდით 01 01 03 02 და დაფინანსდეს პარლამენტის ასიგნებების ფარგლებში 50 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი პროგრამა ჩამოყალიბდეს - „საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა“ - კოდი 01 01 03;**	გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.
7	საქართველოს პარლამენტმა I მოსმენით მიიღო საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს **კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების პრინციპის ფართოდ დანერგვას. მიზანშეწონილია, დაიწყოს კონსულტაციები აღნიშნული მიზნით 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინების თაობაზე;**	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადებამდე დამატებითი კონსულტაციები გაიმართება ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და გათვალისწინებული იქნება არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
8	საქართველოს კანონმდებლობით 2021 წლიდან მოქმედებს პენსიის ზრდის ინდექსაციის წესი, რომლის შესაბამისად ეკონომიკურ პარამეტრებზე (ეკონომიკური ზრდა და ინფლაცია) დაყრდნობით ყოველწლიურად ხდება პენსიის გადაანგარიშება და მატება. ასევე, 2023 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულებებში საბაზო თანამდებობრივი სარგოს ყოველწლიურად გადაანგარიშების მექანიზმი. სხვა კომიტეტებთან ერთად **კომიტეტი უწევს რეკომენდაციას, რომ მოხდეს ასევე, მეთოდოლოგიის (ინდექსაციის წესის) შემუშავება პენსიონერების იმ ნაწილისათვის, რომელთა კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი კანონით განისაზღვრა 2005 წელს (560 ლარი) და ბოლო 17 წელია არ შეცვლილა;**	აღნიშნულ საკითხზე შესაძლებელია დაიწყოს მუშაობა და განხორციელდეს 2024 წლიდან.
9	პენსიების მატება ეხება ყველას, მათ შორის შშმ პირებს. **ამასთან, არ ეზრდება სოციალური დახმარების ოდენობა მთელი რიგი დახმარების მიმღებ პირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს ამ დახმარებების საკითხი. თუ მისი ზრდა სრულად ვერ მოხერხდება 2023 წლის ბიუჯეტით, განხორციელდეს 2024 წელს;**	სოციალური დაცვის ღონისძიებების ფარგლებში აქცენტი კვლავ გაკეთდება სოციალურად დაუცველი ბავშვების და შშმ პირების მხარდაჭერაზე. ამასთან, არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში, სახელმწიფო მაქსიმალურად მიმართავს რესურსებს სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოსახლეობის შრომის ბაზარზე ჩართვის ხელშეწყობის მიმართულებით.
10	ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, **კომიტეტის მიერ 2020 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებზე მომზადებულ ყველა დასკვნაში ასახული იყო რეკომენდაცია (წინადადება) მათთვის მოქმედი სოციალური პაკეტების გაზრდის თაობაზე, რასაც ითხოვდა სხვა კომიტეტებიც. მიმდინარე წლის იანვრიდან წინა წელთან შედარებით გაზრდილია ვეტერანთა სოციალური გასაცემელი და განსაზღვრულია 100 ლარით. მიზანშეწონილია, აღნიშნული გასაცემელი გაიზარდოს 2023 წლიდანაც. ამასთან, ვეტერანების ნაწილი (მათ შორის ვეტერანი შშმ პირები) სარგებლობენ სხვა სახის დახმარებებითაც. მიუხედავად იმისა, რომ**	გაიმართა კონსულტაციები ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან და შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელდება მათთვის განსაზღვრული ასიგნებების გაზრდა.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსება 9 495.0 ათასი ლარიდან იზრდება 12 მლნ ლარამდე, მიზანშეწონილია, ასიგნებების უფრო მეტად გაზრდა, რაც მოხმარდება ვეტერანთა სხვადასხვა სოციალურ დახმარებებს;	
11	საქართველოს კანონმდებლობით **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ასევე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს ეძლევათ კომპენსაცია, რომელიც 2015 წლიდან შეადგენს 1000 ლარს. ამ წლების განმავლობაში აღნიშნული თანხა არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანად არის გაზრდილი ინფლაცია. მიზანშეწონილია, მოხდეს ამ კომპენსაციის ოდენობის გადახედვა ზრდის მიმართულებით;**	შესაძლებელია განხორციელდეს 2024 წლიდან.
12	**მომატებული საფრთხეების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია, შესაძლებლობების ფარგლებში გაიზარდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები;**	საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეჯერებული პოზიციით, პირველ ეტაპზე განხორციელდა სამინისტროს ბიუჯეტში აუცილებელი საჭიროებების დაფინანსება, რაც სრულად აისახა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიაში და შემდგომ მოხდა არსებული ფისკალური რესურსების გადანაწილება სხვა მხარჯავ დაწესებულებებზე.
13	**დამატებითი რესურსების არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსების ზრდა, მათ შორის, ტექნიკის განახლების, აკვაკულტურის, აგრარულ სექტორში დასაქმებულ ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი საპილოტე პროგრამისა და სხვა მიმართულებებით;**	გაგრძელდება კონსულტაციები საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
14	გაგრძელდეს მუშაობა **სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, პრობაციის სისტემის განვითარების დან ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციის პროგრამის შესაძლებლობის ფარგლებში დაფინანსების გაზრდის მიმართულებით;**	არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.
15	მიზანშეწონილია, **სახელმწიფო ენის პორტალის - ინტერნეტპლატფორმა „მაღალი ლეგიტიმაციის ინფორმაცია და ნორმატიული ენობრივი რესურსები“ შექმნის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სახსრების გამოყოფა;**	არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.
16	მნიშვნელოვანია **გარემოსდაცვითი პროგრამების ეფექტიანი რეალიზაცია, განსაკუთრებით საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების ნაწილში. შესაბამისად, მიზანშეწონილია, გადაიხედოს აღნიშნული პროგრამების ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული დაფინანსების ზრდის შესაძლებლობები დამატებითი რესურსების ფარგლებში. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამართონ დამატებითი კონსულტაციები ამ პროგრამებთან დაკავშირებით;**	გაგრძელდება კონსულტაციები საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.
17	მიზანშეწონილია, **ეკონომიკური განვითარების, კერძოდ, მეწარმეობისა და ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების დაფინასების ზრდა დამატებითი რესურსების არსებობის შემთხვევაში;**	არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.
18	**საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზის არმქონე სოფლების გაზიფიცირებისა და მოსახლეობისთვის გაზის მიწოდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია დამატებითი რესურსების არსებობის პირობებში დაფინანსების გაზრდა;**	2022-2023 წლებში სათანადო რესურსი გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოფლების გაზიფიცირების მიზნით.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
19	ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ასევე, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, **მიზანშეწონილია, ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებად შვებულებებზე გასაცემი დახმარების ზრდა;**	გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიაში.
20	რეფერალურ მომსახურებაზე მოთხოვნის ყოველწლიური ზრდისა და ჩვენი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, **მიზანშეწონილია, სახელმწიფო ქვეპროგრამის - „რეფერალური მომსახურება“, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული დაფინანსების გაზრდა;**	სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მომსახურებები „რეფერალური მომსახურების“ პროგრამიდან გადავიდა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში, შესაბამისად ამ პროგრამის ასიგნების ფარგლებში შესაძლებელია მეტი მომსახურების გაწევა.
21	**წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების გაუმჯობესებისა და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გამარტივების მიზნით ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება.** დასაზუსტებელია თუ რა მექანიზმის გამოყენებას გულისხმობს მეთოდოლოგია და როგორ შეფასდება მისი ეფექტიანობა;	ნებაყოფლობითი კანონმორჩილების ხელშეწყობა მოიცავს ორ ღონისძიებას: 1) კანონმდებლობის სრულყოფა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მოიაზრებს არსებული დღგ-ს ზედმეტობის ანალიზსა და ამ ზედმეტობის მართვას, დღგ-ის დაბრუნების პროცედურების დახვეწა-გამარტივებას, მეთოდოლოგიის ცვლილების ან/და შემუშავების საფუძველზე. აღნიშნულის გასაზომად გამოიყენება მიმდინარე პერიოდში წარმოშობილი დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების პროცენტული მაჩვენებელი. 2) დეკლარირების/გაანგარიშებების დროული და სრული წარმოდგენის უზრუნველყოფა, რომელიც მოიაზრებს, დროული დეკლარირებისთვის საჭირო პროცედურების ჩამოყალიბებას და დეკლარაციების ავტომატური კონტროლის სისტემის დანერგვას, ასევე, დაუბეგრავი დოკუმენტების კონტროლის განხორციელებას.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		აღნიშნულის გასაზომად გამოიყენება დროულად დეკლარირების პროცენტული მაჩვენებელი, ავტომატური კონტროლის სისტემის მეშვეობით შეფასებული დეკლარაციების რაოდენობა და დაუბეგრავი დოკუმენტების პროგრამის ფარგლებში დაზუსტებული დეკლარაციების რაოდენობა.
22	ცენტრალური ხელისუფლებიდან მუნიციპალიტეტებს დელეგირებული უფლებამოსილების (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სამხედრო ვალდებულებები და სხვა) განსახორციელებლად ეძლევათ მიზნობრივი ტრანსფერები, რომლის ოდენობა წლების განმავლობაში არ არის საკმარისი, განსაკუთრებით ქვეყანაში არსებული ინფლაციისა თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შედეგად, **მუნიციპალიტეტებს საკუთარი ბიუჯეტებიდან უწევთ დამატებითი ხარჯის გაწევა, რაზედაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაფიქსირებული აქვს შენიშვნა. მიზანშეწონილია, მომავალში მიზნობრივი ტრანსფერის გადაანგარიშება მოხდეს საჭიროების გათვალისწინებით ისე, რომ განისაზღვროს მისი რეალური ოდენობა;**	საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების გაანგარიშება მუნიციპალიტეტებისთვის ამ უფლებამოსილების გადაცემის მიზნით. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში. მომდევნო წლებში განხორციელდება სხვა დელეგირებული ფუნქციების განფასება და შესაბამისი თანხების ასახვა ბიუჯეტში.
23	ბიუჯეტის პროგრამული ფორმატის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიმართულებით **საჭიროა მხარჯავი დაწესებულებების მეტი ძალისხმევა და შესაბამისი რესურსები. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გააქტიუროს მუშაობა მხარჯავ დაწესებულებებთან პროგრამული ფორმატით ბიუჯეტის დაგეგმვის სრულყოფის მიმართულებით;**	გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწის მიმართულებით, დაგეგმილია პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის შემდგომი გადამუშავება. ამასთან, საერთაშორისო პარტნიორების ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა საპილოტე სამინისტროების მიერ პროგრამული ბიუჯეტის ეტაპობრივი გაუმჯობესების მიმართულებით.
24	კომიტეტს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და წინადადებები, რაც დახვეწავს და კიდევ	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებებით ღონისძიებები იგეგმება მათ შორის მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით. ამასთან,

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	უფრო ეფექტიანსა და გამჭვირვალეს გახდის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესებს. კომიტეტი გამოთქვას მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს სამუშაო პროცესში და შესაბამისი საკითხების მოგვარებაში.	2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან დაკავშირებით არსებული რიგი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.